



28 ოქტომბერს ტელეკომპანია „იმედისა“ და სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2-ის“ საღამოს საინფორმაციო გამოშვებებმა გარკვეული უზუსტობებით გააშუქეს „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ მიერ 2008 წელს გამოქვეყნებული „კორუფციის აღქმის ინდექსი“ (CPI). ინფორმაციის დასაზუსტებლად არა ერთი სახელმწიფო დაწესებულება და საერთაშორისო ორგანიზაცია დაგვიკავშირდა, ამიტომ უფრო ვრცლად გაგაცნობთ ჩვენი ორგანიზაციის შენიშვნებს ამ სიუჟეტებთან დაკავშირებით:

- ✓ „იმედის“ სიუჟეტში ითქვა, რომ საქართველო CPI-ში თურქეთს უსწრებს, რაც არასწორია. 2008 წლის CPI-ში საქართველო 67 ადგილზე გავიდა, ხოლო თურქეთი - 58-ზე;
- ✓ იმავე სიუჟეტში აღინიშნა, რომ მომავალ წელს საქართველო, სავარაუდოდ, კიდევ სამი პუნქტით წაიწევს წინ. მომდევნო, 2009 წლის CPI ჯერ არ გამოქვეყნებულა. მისი შედეგები ჯერჯერობით ჩვენთვისაც კი არ არის ცნობილი. კვლევის ფორმატი და მეთოდოლოგია არ იძლევა იმის საშუალებას, რომ მომდევნო წლის შედეგებთან დაკავშირებით რაიმე სახის ვარაუდები გამოითქვას.
- ✓ „რუსთავი 2-ის“ სიუჟეტში ითქვა, რომ პროგრესის თვალსაზრისით საქართველოს ჩამორჩება თურქეთი, ჩეხეთი, რუმინეთი და სამხრეთ კორეა. რთული გასაგებია, რა პრინციპით შედგა ეს სია, რადგან CPI-ის ჩამონათვალში თურქეთი საქართველოზე წინ არის, ხოლო ქულების მატების დინამიკით საქართველო ბევრ სხვა ქვეყანას უსწრებს (თუმცა, ამ ბოლო კრიტერიუმის გამოყენება არ იქნებოდა სწორი).
- ✓ „რუსთავი 2-ის“ სიუჟეტში ასევე აღინიშნა, რომ CPI-ის დადგენისას „საერთაშორისო გამჭვირვალობა“ შემდეგი კრიტერიუმებით სარგებლობს: ბიუროკრატიის დონე, ბიზნესის კეთების სიმარტივე და სახელმწიფო სტრუქტურებში კორუფციასთან ბრძოლა. რეალურად კი, CPI მხოლოდ საჯარო სამსახურში არსებულ კორუფციასა და ამ მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯებს აფასებს და ბიზნესის სფეროში არსებულ პრობლემებს არ ეხება.
- ✓ რაც შეეხება ორივე სიუჟეტში გაკეთებულ კომენტარს იმასთან დაკავშირებით, რომ კორუფციასთან ბრძოლის დინამიკით საქართველო მსოფლიოში პირველ ადგილზეა („იმედი“) და რომ მან ყველაზე დიდი პროგრესი განიცადა („რუსთავი 2“), საქართველოში 2003 წლიდან მოყოლებული მართლაც არის წინსვლის დინამიკა, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ სიაში პირველ ათეულში გასულ ქვეყნებს გაცილებით მაღალი, მაქსიმალურთან მიახლოებული ქულები აქვთ და წინა წლებშიც ძალიან მაღალი ქულები ჰქონდათ, ისინი ქულების მატების ტემპითა და სიდიდით საქართველოს უბრალოდ ვერ გაასწრებდნენ.
- ✓ ასევე, გასათვალისწინებელია, რომ „კორუფციის აღქმის ინდექსის“ ანალიზის დროს ყურადღების გამახვილება რეკომენდებულია არა იმაზე, თუ რამდენი პუნქტით გადაინაცვლებს ქვეყანა სიაში, არამედ იმაზე, თუ როგორია მისი ქულა. საქართველოს ქულა 2008 წელს 3.9 იყო (შესაძლო საუკეთესო შედეგი არის 10 ქულა). პუნქტებზე აქცენტი იმ მიზეზით არ კეთდება, რომ წლიდან წლამდე CPI-ში შესული ქვეყნების ჩამონათვალი იცვლება, რაც, ბუნებრივია, ამ ჩამონათვალში ცალკეული ქვეყნების ადგილზეც ახდენს გავლენას. შესაბამისად, CPI-ის სიაში ქვეყნის ადგილის ცვლილება



შესაძლოა გამოწვეული იყოს არა ამ ქვეყანაში არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებით ან გაუარესებით, არამედ სიაში უფრო ნაკლებად ან მეტად კორუმპირებული ქვეყნების დამატებით.

ბოლოს გვინდა ხაზი გავუსვათ, რომ 28 ოქტომბერს გასულ სიუჟეტებში საუბარი იყო „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ 2008 წლის კვლევის შესახებ. ეს კვლევა გასულ წელს გამოქვეყნდა და 2008 წლისთვის არსებულ მდგომარეობას ასახავდა. ახალი, 2009 წლის კვლევა ნოემბერში გამოქვეყნდება და მის შედეგებს დამატებით გაგაცნობთ.

2008 წლის კვლევის შესახებ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მიერ გავრცელებული პრესრელიზი შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე:

[http://www.transparency.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=144&info\\_id=499](http://www.transparency.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=144&info_id=499)

საკონტაქტო პირი:

ნანა ლობჯანიძე

nana@transparency.ge

ტელ: (+99532) 932129 ან (+99532) 921403